დაიჯესტი

8-14 ოქტომბერი, 2022

TRC ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
TERRORISM RESEARCH CENTER

ამერიკის შეერთებული შტატები

გამოცემა „ნიუ-იორკ ტაიმზის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ადმინისტრაციამ 7 ოქტომბერს პენტაგონსა და ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოში განსახილველად საკანონმდებლო ინიციატივა გააგზავნა, რომლის ფარგლებშიც იზღუდება კონტრტერორისტული სპეცოპერაციების დროს უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებით კონფლიქტის ზონებს გარეთ არსებულ ობიექტებზე იერიშის მიტანა.

გერმანია

გერმანიის პროკურატურამ გაავრცელა ინფორმაცია 11 ოქტომბერს ქალაქ ესენის სასამართლოს მიერ 17 წლის მოზარდის, ჯერემი რ.-ის ტერორისტული თავდასხმის დაგეგმვაში დამნაშავედ ცნობის შესახებ. ესენის საპატრულო სამსახურის განმარტებით, ჯერემი ულტრამემარჯვენე იდეებით მოტივირებული ტერორისტული თავდასხმის განხორციელებამდე ერთი დღით ადრე დააკავეს.

ისრაელი

ისრაელის თავდაცვის ძალები ავრცელებს ინფორმაციას 11 ოქტომბერს, ღაზას სექტორში ერთი ჯარისკაცის მკვლელობის შესახებ. თავდაცვის ძალების განცხადებით, იდო ბარუში შეიარაღებული ექსტრემისტების თავდასხმის შედეგად გარდაიცვალა. მომხდარ თავდასხმაზე პასუხისმგებლობა ძალადობრივმა ექსტრემისტულმა დაჯგუფება „ლომთა ბუნაგმა“ აიღო. დაჯგუფების მიერ 11 ოქტომბერს, ღამით გავრცელებულ ვიდეოში გაჟღერებულია მუქარა ისრაელის თავდაცვის ძალების წინააღმდეგ მოულოდნელი თავდასხმების განხორციელების შესახებ.

სირია

13 ოქტომბერს, სირიის ჩრდილოეთ ნაწილში სამხედრო კოლონაზე თავდასხმის შედეგად 18 სირიელი ჯარისკაცი დაიღუპა. თავდასხმის შედეგად დაშავებულია 27 ადამიანი. ამ დრომდე მომხდარზე პასუხისმგებლობა არც ერთ ტერორისტულ ორგანიზაციას არ აუღია.

ტერორისტულმა ორგანიზაცია ჰაიატ ტაჰრირ ალ-შამმა (წარსულში ცნობილი, როგორც ალ-ნუსრას ფრონტი) 13 ოქტომბერს ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქი აფრინი დაიკავა.

თურქეთის ეროვნულმა სადაზვერვო ორგანიზაციამ 14 ოქტომბერს სირიის ჩრდილოეთ ნაწილში ჩატარებული სპეცოპერაციის ფარგლებში ქურთისტანის მუშათა პარტიის ბრიგადის მეთაური, ნეჟდეტ დაგლარერი (კოდური სახელი „გელი სერჰატი"), გაანეიტრალა.

ერაყი

7 ოქტომბერს ერაყის ჩრდილოეთ ნაწილში, ქურთების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მომხდარ აფეთქებას 1 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. მანქანის აფეთქების შედეგად დაშავდა 4 პირი. ერაყის კონტრტერორისტული ძალების განცხადებით, მანქანაში დამონტაჟებული ასაფეთქებელი მოწყობილობის შედეგად გარდაცვლილი მძღოლი ირბილის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ქალაქ სულეიმანიაში მოქმედი ქურთული კონტრტერორისტული სამსახურის ოფიცერია.

ნიგერია

ისლამისტი ექსტრემისტების მიერ ბორნოს შტატში, ნიილანგის სოფელზე მიტანილი თავდასხმის დროს განხორციელებული თავდასხმის შედეგად 3 ქრისტიანი დაიღუპა. ადგილობრივების განმარტებით, თავდამსხმელები დაეშის დასავლეთ აფრიკის პროვინციის წევრები იყვნენ.

სომალი

ექსპერტთა აზრით, სომალი ნოემბერში გაეროს უშიშროების საბჭოზე უგანდასა და ეთიოპიასთან ერთად მხარს დაუჭერს იარაღის ემბარგოს მოხსნას, რაც ამ უკანასკნელს გაუზრდის კონტრტერორისტულ შესაძლებლობებს ტერორისტული ორგანიზაცია ალ-შაბაბის წინააღმდეგ.

მალი

13 ოქტომბერს მოპტის რეგიონში, ბანდიგარას და გოუნდაკას სოფლების

დამაკავშირებელ გზაზე, ავტობუსის აფეთქებას 11 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. მომხდარზე პასუხისმგებლობა ამ დრომდე არც ერთ ტერორისტულ ორგანიზაციას არ აუღია.